თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7866931

ნომერი: AR11136062

თარიღი : 30.03.2026

გაცემის თარიღი : 06.04.2026

გაცნობის თარიღი : 06.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 94;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ ახალაია პ/ნ 01701128641
- თბილისი, ნაკადულის 2, ბინა 18

ორგანიზაცია:
- შპს ტიბინი ჯგუფი კოდი: 406117492

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით პაპიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ნუევო არქვიზუალი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400388200

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ტიბინი დეველოპმენტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400229070
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბ ახალაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01701128641

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 7854181
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.03.2026

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ზურაბ ახალაიას 30/03/2026 წლის AR11136062 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 23/03/2026 წლის №7854181 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 06 აპრილიდან 2030 წლის 06 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. “.

4. . მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1) მოსამზადებელი სამუშაოები, სამშენებლო მოედნის მოწესრიგება.
2) დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობა.
3) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.
4) შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, მიწის გამაგრების (ხიმინჯების ფარდის მოწყობის) სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები.
5) საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციის მოწყობის სამუშაოები ნულოვან ნიშნულამდე.
6) შენობა-ნაგებობის -1 სართულიდან 7 სართულის ჩათვლით, ძირითადი კონსტრუქციის მოწყობა
7) 7 სართულიდან ტექნიკური სართულის ჩათვლით ძირითადი კონსტრუქციის მოწყობა.
8) შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა, შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი.
9) შენობის მიდგმული ნაწილის (-3,10 ნიშნული, 2,6’ და დ-ი ღერძებში მოქცეული ნაწილით ძირითადი კონსტრუქციის მოწყობა.
შენობა-ნაგებობის ვიტრაჟების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები.
10) ნიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა, სამუშაოების დასრულება.

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^5 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2026 წლის 31

დეკემბრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 23/03/2026 წლის №7854181 ბრძანებასთან ერთად.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.